# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№6 (85) 2018


## „ეიფელის ბრწყინვალების“ 2018 წლის სტიპენდიის ლაურეატი თსუ სტუდენტია



***2018 წლის „ეიფელის ბრწყინვალების“ სტიპენდიის ლაურეატი თსუ სტუდენტი გვანცა გაგნიძე გახდა. გვანცა სწავლას მაგისტრატურის საფეხურზე სტრასბურგის უნივერსიტეტში, სამართლის მიმართულებით განაგრძობს.***

„ეიფელის ბრწყინვალება“ არის საფრანგეთის ევროპისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს დაწესებული სტიპენდია, რომელიც საფრანგეთის უმაღლეს სასწავლებლებს საშუალებას აძლევს მოიზიდონ საუკეთესო უცხოელი სტუდენტები სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.

კონკურსში მონაწილეობის მიღება, პროცედურული თვალსაზრისით, არ არის რთული. მსურველმა, პირველ რიგში, უნდა მოიძიოს სასურველი უნივერსიტეტი და პროგრამა, დაუკავშირდეს ამ უნივერსიტეტს და აცნობოს, რომ სურს განაცხადის გაკეთება ზემოაღნიშნული სტიპენდიის მისაღებად. უნივერსიტეტი ითხოვს საჭირო დოკუმენტებს. დოსიეს განხილვის შემდეგ წყვეტს უნივერსიტეტი, წარადგენს თუ არა ამა თუ იმ კანდიდატს უნივერსიტეტის სახელით სტიპენდიის მისაღებად. დადებითი პასუხის შემთხვევაში მონაცემები გადაეცემა „კამპუს ფრანსს“. ამის შემდეგ განიხილავენ კანდიდატურებს და ბოლოს, დაახლოებით ორ თვეში, აქვეყნებენ შედეგებს.

„თსუ-ში, ისევე როგორც სხვადასხვა ორგანიზაციაში მიღებული ცოდნა და გამოცდილება, რა თქმა უნდა, ჩემთვის იყო აუცილებელი ეტაპი, რათა მაგისტრატურის საფეხურზე საფრანგეთში სწავლის სურვილი რეალობად მექცია. ვერ გეტყვით, ზუსტად რამ განაპირობა ჩემი კანდიდატურის დაკმაყოფილება, ეს მხოლოდ ჟიურიმ იცის, თუმცა ვიცი, რომ წინ კიდევ უფრო რთული და შრომატევადი ეტაპია.

*გაგრძელება მე-3 გვ.*

## თსუ სტუდენტები საველე პრაქტიკაზე ბერნის უნივერსიტეტში



***თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საერთაშორისო პროექტის (SCOPES): „მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარება“ თანადაფინანსებით თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ლანდშაფტური დაგეგმარების სამაგისტრო პროგრამის (ხელმძღვანელი პროფესორი ნოდარ ელიზბარაშვილი) მეორე კურსის სტუდენტები: თეონა ქობალია, ნათია მელაძე და სანდრო გოგოლაძე გაცვლითი პროგრამის (კურატორი, დოქტორი ჰეინო მეესენი) ფარგლებში იმყოფებოდნენ ბერნის უნივერსიტეტში (შვეიცარია). მათ ამავე უნივერსიტეტის გარემოს და განვითარების ცენტრში (CDE) წარადგინეს რამდენიმე პრეზენტაცია, რომელიც ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომის თემატიკას. პრეზენტაციის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ბერნის უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა, ექსპერტებმა და სტუდენტებმა.***

***ქართველი მაგისტრანტები დაესწრნენ რამდენიმე ლექციას ბერნის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, მონაწილეობა მიიღეს***

*გაგრძელება მე-2 გვ.*

## თსუ კაპელა – ახალგაზრდა ენთუზიასტთა ისტორია

***ვინც 20 მაისს „ღამით მუზეუმში“ აქციას შეუერთდა და თსუ-ში მოვიდა, (სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ექსპოზიციების დასათვალიერებლად), თსუ კაპელას შესრულებითაც ისიამოვნებდა. კომპოზიციების „ქუთაისური სერენადა“, „შემოდგომა“ და „სით დაუნ, სერვანთ“ მოსმენის შემდეგ კი არ შეიძლება იმ საოცარი ენერგიით არ დამუხტულიყავით, რაც კაპელას თითოეული წევრისა და დირიჟორისგან მოდიოდა.***

თსუ კაპელამ წელს, 12 მაისს საქართველოს საგუნდო საზოგადოების მიერ ორგანიზებულ ბავშვთა და ახალგაზრდული გუნდების კონკურსში ოქროს მედალი მოიპოვა და პირველი ადგილი დაიკავა. კაპელას დაჯილდოვების ცერემონიალი და გალა-კონცერტი 1 ივნისს კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება. ამ ღონისძიებისთვის ახლა კაპელა განსაკუთრებული მონდომებით ემზადება. ცნობისათვის, კაპელა კიდევ რამდენიმე ნომინაციის გამარჯვებულია: საუკეთესო აკაპელა შესრულება, ჟიურის სიმპათია და კონკურსის საუკეთესო ქორმაისტერი.

კაპელას ქორმაისტერი და სულისჩამდგმელი 25 წლის ლაშა მიროტაძეა. მისი განმარტებით, კაპელა თავიდან, სულ რაღაც ოთხი წლის წინ, გოგონათა გუნდის სახით ჩამოყალიბდა. საკუთარი გუნდის ჩამოყალიბებასა და ხელმძღვანელობაზე იგი ჯერ კიდევ კონსერვატორიაში სწავლისას დაფიქრდა. „როდესაც საგუნდო და სადირიჟორო განყოფლებაზე სწავლობ, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი დასრულებისას ქორმაისტერი უნდა გამოხვიდე და შესაბამისად გუნდს უნდა უდირიჟორო. გუნდის გარეშე დირიჟორისთვის ყოფნა ძალიან ძნელია. კარგი მუსიკალური მონაცემების რამდენიმე გოგონას ვიცნობდი, რომლებიც თსუ-ში სწავლობდნენ. ჩემი იდეით დავუკავშირდი. მათ, თავის მხრივ, ნაცნობებს გადაურეკეს და შესაბამისად სადღაც 15 გოგონა მოგროვდა. ორ კვირაში კი ჩვენ უკვე საქართველოს საგუნდო საზოგადოების მიერ ორგანიზებულ ბავშვთა და ახალგაზრდული გუნდების კონკურსში მივიღეთ მონაწილეობა, რომელიც მაშინ პირველად ჩატარდა. მაშინაც პირველი ადგილი დავიკავეთ, ოღონდ გოგონათა გუნდის სტატუსით“, – ამბობს ლაშა.

დღეისათვის, კაპელას შემადგენლობაში 60 თსუ სტუდენტია, როგორც გოგონები ისე ბიჭები. აქედან 50-52 ძირითად შემადგენლობაში, დანარჩენები კი ჯერ სწავლებისა და ხმის დამუშავების ეტაპზე არიან. ლაშას თქმით, მათთან გუნდში მოსახვედრად დიდი ბარიერი არ არსებობს, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მეშვეობით უკავშირდებიან. გუნდის წევრობის კანდიდატებს ლაშა ხვდება. ქორმაისტერი კანდიდატების მუსიკალური გამოცდილებით და, რაც მთავარია, იმით ინტერესდება, თუ როგორი მუსიკალური მონაცემები და სმენა აქვთ. როგორც თავად აღნიშნავს, იმის გამო რომ ქართველებს მუსიკალურობა გენში აქვთ, დღემდე თითქმის არავინ დაუწუნია.

*გაგრძელება მე-2 გვ.*

## „უნივერსიტეტის თეატრი – 100“



***უნივერსიტეტში თეატრალური დასის ისტორია სათავეს 100 წლის წინ იღებს. ამ თარიღს ეძღვნებოდა გამოფენა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სახელწოდებით „უნივერსიტეტის თეატრი – 100“ გაიხსნა. გამოფენას თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.***

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა წლებში დასის მოღვაწეობის ამსახველი ფოტოები, აფიშები, თეატრალური ესკიზები, ჟურნალ-გაზეთები, სიგელები, თეატრალური კოსტიუმები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან მალევე ჩამოყალიბდა სტუდენტური შემოქმედებითი წრეები, რამაც საფუძველი ჩაუყარა სტუდენტურ დასს. 1918 წელს უნივერსიტეტში შეიქმნა თეატრალური სტუდია, რომლის საფუძველზეც, მომდევნო წელს ჩამოყალიბდა თეატრალური დასი. რეჟისორად ალექსანდრე წუწუნავა მოიწვიეს. 1918 წლის მაისში უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი

*გაგრძელება მე-4 გვ.*

## თსუ-ში ევროპის აკადემიის რეგიონული ჰაბი იხსნება




ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ევროპის აკადემიის რეგიონული ჰაბი იხსნება. სამეცნიერო ჰაბის მიზანი კავკასიის რეგიონში მეცნიერებისა და კვლევის განვითარების ხელშეწყობაა.

10 მაისს ევროპის აკადემიის დელეგაცია პრეზიდენტის, პროფესორ ზირდ კლოტინკის, ევროპის კვლევების საბჭოს ვიცე-პრეზიდენტის ევა კონდოროშის და ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის ალექს ვეხრაცკის შემადგენლობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან გიორგი შარვაშიძესთან გამართულ შეხვედრაზე ევროპის აკადემიის წარმომადგენლობის თსუ-ში გახსნის საკითხი განიხილეს. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, თსუ-სა და ევროპის აკადემიას შორის თანამშრომლობა იქნება ნიშანი აკადემიური და სამეცნიერო საზოგადოებებისთვის, გააფართოვონ ევროპის აკადემიური საზოგადოების როლი ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში და განავითარონ ევროპული კვლევითი სივრცე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსებული ჰაბი საქართველოს გარდა დაფარავს ასევე სომხეთს და აზერბაიჯანს, რაც უპრეცედენტო შემთხვევა კავკასიის რეგიონში. 11 მაისს თსუ-ში ხელი მოეწერა მემორანდუმს თანამშრომლობის შესახებ და გაიმართა სიმპოზიუმი. სიმპოზიუმზე ევროპული აკადემიის წარმომადგენლებმა წაიკითხეს მოხსენებები ნევროლოგიის, ბიოქიმიისა და დედამიწის შემსწავლელი მეცნიერების მიმართულებით.

## მასწავლებლები თსუ-დან



გვ. 3

## უნივერსიტეტელი – როცა ყველაზე არარეალური ოცნებებიც ხდება



გვ. 3

## იტალიელი სტუდენტები თსუ მედიცინის ფაკულტეტიდან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე „ერაზმუს +“ პროგრამის ფარგლებში ამ დროისათვის გაცვლითი პროგრამით ორი იტალიელი სტუდენტი სწავლობს.

გვ. 4

# თსუ სტუდენტები საველე პრაქტიკაზე ბერნის უნივერსიტეტში

*პირველი გვერდიდან*

***მდგრად ტურიზმთან დაკავშირებულ საველე-სასწავლო კურსის პრაქტიკულ მეცადინეობაში ზამთრის კურორტ კანდერშტაგში (ბერნის კანტონი), შეხვდნენ ადგილობრივ ფერმერებს და მოსახლეობას, ჩაატარეს სოციო-ეკოლოგიური გამოკითხვა.***

***სანდრო, ნათია და თეონა ბერნში მიღებული გამოცდილების შესახებ გვიყვებიან.***

***სანდრო გოგოლაძე:***

მემორანდუმის ფარგლებში, რომელიც გაფორმებულია თსუ-სა და ბერნის უნივერსიტეტს შორის, ჩვენ ვიყავით პირველი გეოგრაფები, ვინც საველე პრაქტიკაზე იმყოფებოდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ბერნის უნივერსიტეტში ვიზიტი ძალზედ მნიშვნელოვანი იყო როგორც ჩემთვის, ასევე ჩემი მეგობრებისთვის, რადგან ჩვენთვის ეს იყო უდიდესი გამოცდილება, ადგილზე გავცნობოდით და გაგვეზიარებინა ევროპისა და მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალგანვითარებული სახელმწიფოს გამოცდილება კონკრეტული მიმართულებებით (მდგრადი ტურიზმის, მთის კანონის და ტყის არასამერქნე რესურსების გამოყენების, სამაგისტრო თემატიკების მიხედვით, შესახებ). გარდა ამისა, შვეიცარიაში ვიზიტი მოიცავდა 2 დღიან საველე-სასწავლო კურსს მდგრადი ტურიზმის შესახებ ზამთრის კურორტ კანდერშტაგში/ბერნის კანტონი. ასევე, ვიზიტისას შევხვდით პროფესორებს, ექსპერტებსა და სტუდენტებს, რომელთაც გაგვიზიარეს ცოდნა და გამოცდილება კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით.

ახლო მომავალში ვგეგმავ სწავლა გავაგრძელო სადოქტორო პროგრამაზე ლანდშაფტური დაგეგმარების მიმართულებით. საქართველოში ეს ახალი მიმართულებაა, რომელიც ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ მიმართულებით ევროპაში სწავლის გაგრძელების ბევრი შესაძლებლობაა, რაც თავისთავად პროფესიული და არა მარტო პროფესიული კუთხით განვითარების უდიდეს შესაძლებლობას გულისხმობს. თსუ-ში 2010 წელს ჩავაბარე. მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ თსუ ყველაზე მაღალი დონის უნივერსიტეტია საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის, სადაც შეგიძლია მიიღო დიდი ცოდნა და გამოცდილება მაღალი დონის პროფესორებისგან.

თავდაპირველად, თსუ-ში ჩავაბარე საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებაზე სწავლის გაგრძელების მიზნით, მაგრამ გეოგრაფიის პირველი ლექციის შედეგ (იმ დროს საერთაშორისო ურთიერთობები და საზოგადოებრივი გეოგრაფია ერთი ფაკულტეტის შემადგენლობაში იყო), გადავწყვიტე არჩევანი შემეცვალა. მე-8 წელია თსუ-ში ვსწავლობ გეორგაფიას, დავამთავრე ბაკალავრიატი და მაგისტრატურა საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებით, ამჟამად კი ვსწავლობ ლანდშაფტური დაგეგმარების სამაგისტრო პროგრამაზე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე. სამწუხაროდ, ჩვენს უნივერსიტეტში გეორგაფია ორი მიმართულებად არის გაყოფილი და ორ სხვადასხვა ფაკულტეტზე ისწავლება, ამიტომ სტუდენტებს არ ეძლევათ საშუალება გეოგრაფიის ორივე მიმართულებით საფუძვლიანი ცოდნა მიიღონ, რაც უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ შენი საქმის პროფესიონალი გახდე.

ამჟამად, პედაგოგიურ საქმიანობას ვეწევი. ვასწავლი კერძო სკოლაში და ასევე ვამზადებ აბიტურიენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის. უამრავ აბიტურიენტთან მაქვს შეხება, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ჩემი სპეციალობა არც ისე პოპულარულია აბიტურიენტებს შორის, თუმცა, ყოველთვის ვცდილობ დავარწმუნო ისინი, რომ ჩააბარონ თსუ-ში და არა სხვაგან, რადგან კიდევ ერთხელ აღვნიშნავ და გავიმეორებ, რომ ჩემი აზრით, თსუ არის ყველაზე მაღალი დონის უნივერსიტეტი საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის, რომელიც ინარჩუნებს ხარისხს, მიუხედავად მრავალი გამოწვევისა; სადაც შეგიძლია მიიღო დიდი ცოდნა, გამოცდილება და შესაძლებლობა მომავალში წარმატებების მისაღწევად შენს პროფესიაში".

***თეონა ქობალია:***

ბერნში ჩვენი ვიზიტი იყო უპირველეს ყოვლისა ევროპული გამოცდილების გაზიარება საქართველოსთვის, განსაკუთრებით იმ საკითხებში, რომლითაც დაინტერესებულები ვიყავით და უნდა გამოგვეყენებინა ჩვენს





კვლევაში (სამაგისტრო ნაშრომი). ბერნის უნივერსიტეტი ერთ-ერთ წამყვანი უნივერსიტეტია გეოგრაფიის სფეროში და მნიშვნელოვანი იყო მათი კვლევის და სწავლების მეთოდოლოგიების გაცნობა. ვიზიტი მნიშვნელოვანი იყო ასევე მომავალი კავშირებისთვის და თანამშრომლობისთვის, რადგან ისევ მოხდეს გამოცდილების და ინფორმაციის გაზიარება სამეცნიერო სფეროში.

პირველ რიგში, აღსანიშნავია გულთბილი მიღება და ყურადღება რომელიც გამოიჩინეს იქაურმა სტუდენტებმა, აკადემიურმა პერსონალმა, ექსპერტებმა და უნივერსიტეტის თანამშრომლებმა. დაესწრნენ ჩვენს პრეზენტაციას (სამაგისტრო ნაშრომის მიმოხილვა), გაგვიზიარეს გამოცდილება, მოგვცეს სასარგებლო რჩევები, ჩაერთნენ დისკუსიაში და დაინტერესდნენ საქართველოში არსებული პრობლემატიკით, რომელიც წამოჭრილი იყო ჩვენს ნაშრომებში, კონსულტაცია გაგვიწიეს კვლევით ინსტიტუტში ვიზიტზე, როგორიცაა @wslresearch, რომ მაქსიმალურად მიგვეღო საჭირო გამოცდილება და ინფორმაცია ვიზიტის ფარგლებში. გაგვაცნეს ბერნის უნივესტეტში სწავლის გაგრძელების პერსპექტივები და დახმარების სურვილი გამოთქვეს.

ბერნში გატარებულმა დღეებმა ნამდვილად გადააჭარბა მოლოდინებს, დიდი ინტერესი გამოიჩინეს ჩვენი კვლევის და ნაშრომის მიმართ, ასევე მათმა ჩრთულობამ და დახმარებამ ნამდვილად დადებითი შთაბეჭდილებები დატოვა. დაუზარელი დახმარება გაგვიწიეს ახალგაცნობილმა და საქართველოში დამეგობრებულმა სტუდენტებმა".

***ნათია მელაძე:***

„ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ვიზიტი ბერნის უნივერსიტეტში, რადგან ჩემი თემა ეხება "საქართველოს მთის კანონს", შვეიცარია კი როგორც მთიანი ქვეყანა, კარგი მაგალითია საქართველოსათვის თუ როგორ უნდა განვავითაროთ მთიანი ტერიტორიები საქართველოში. მნიშვნელოვანი იყო შვეიცარიის მთავრობის რეგულაციები მთაში მცხოვრები მოსახლეობის და მათი საქმიანობის მიმართ.

ჩვენ სამივე ვართ ლანდშაფტური დაგეგმარების მიმართულების წარჩინებული სტუდენტები, ასევე მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ინტერესი სამაგისტრო თემებთან დაკავშირებით, რადგან სამივე სტუდენტის თემა ეხება მთიან ტერიტორიებს. ასევე დაინტერსება იყო თავად ბერნის უნივერსიტეტის ლექტორებისგან ჩვენს თემატიკასთან დაკავშირებით. ბავშვობიდან მიყვარდა რუკები და სივრცესთან დაკავშირებული ინფორმაციის დატანა რუკაზე. ასევე მაინტერესებდა გეოგრაფია და დედამიწაზე მიმდინარე პროცესები.

მომავალ გეოგრაფებს ვურჩევ იყვნენ შრომისმოყვარენი და მიზანდასახულნი. მიიღონ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მათ პროფესიასთან და გარემოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. მეტად მიიღონ მონაწილეობა საველე ექსპედიციებში. რაც მთავარია უყვარდეთ და აინტერესებდეთ არჩეული პროფესია", – ამბობს ნათია.

# უნივერსიტეტელი – როცა ყველაზე არარეალური ოცნებებიც ხდება

***თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებული, 24 წლის ანი ბალასანია, რომელმაც საფრანგეთისა და საქართველოს მთავრობის სტიპენდიები მოიპოვა და სწავლა სორბონას უნივერსიტეტში განაგრძო, ამჟამად პარიზში ევროპულ საქმეთა ოფიცრად მუშაობს და ევროკავშირის ახალგაზრდული პოლიტიკის აღსრულებას ემსახურება. თანამშრომლობს საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქის მერებთან და შემოდგომაზე საფრანგეთის პრეზიდენტთან შესახვედრად ემზადება. ამბობს, რომ გაცილებით მეტი იდეა აქვს, ვიდრე დრო. ანი ბალასანია, ჩვენთან საუბრისას იმ გზას იხსენებს, რომელიც თსუ-დან დაიწყო და პარიზში გრძელდება. ფიქრობს, რომ თსუ ის ადგილია, სადაც ყველა კუთხეში შესაძლებლობებია და ყველა სივრცეში საინტერესო ადამიანი, რომლებიც მზად არიან გაგიზიარონ თავიანთი აკადემიური თუ ცხოვრებისეული ცოდნა.***

„ბანალური სიბრძნე, რომ ცხოვრებაში მარტივად არაფერი ხდება, ჩემი ცხოვრების აღწერის ყველაზე მოკლე და ეფექტიანი გზა იქნებოდა. ყოველი სიახლის, გამოცდილების თუ ცოდნის მიღება ჩემგან საფასურად ითხოვდა უძილო ღამეებს, ფიქრებს, ზოგჯერ იმედგაცრუებასა და მტკივნეულ რეალობასთან შეჯახებას.

ბავშვობაში უნივერსტეტი ჩემთვის თსუ-სთან ასოცირდებოდა. ეს ალბათ, იმითაც იყო გამოწვეული, რომ დედაჩემიც იქ სწავლობდა და ყოველთვის დიდი სიყვარულით იხსენებდა სტუდენტურ პერიოდს. ამიტომ, სხვა უნივერსტეტში სწავლას ვერც კი წარმოვიდგენდი.

თსუ არ არის მხოლოდ აკადემიური დაწესებულება, არამედ ის ცხოვრების გარკვეული ეტაპია და მე ამ ეტაპზე უზომოდ ბევრი ვისწავლე. ის უნარ-ჩვევები შევიძინე, რომლებიც ცხოვრების ყველა მომენტსა და სფეროში იქნება გამოსადეგი.

მე ყოველთვის ვიყავი Multipotentialite – სხვადასხვა ინტერესები მქონდა და მსურდა, სამყაროზე ბევრი რამ მცოდნოდა. ამიტომ, როდესაც მიმართულებას ვარჩევდი, მივხვდი, რომ ჩემს ინტერესებს ყველაზე მეტად სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები შეავსებდა და არც შევმცდარვარ. ამ ფაკულტეტზე სწავლამ მომცა საშუალება, რომ მქონოდა მსოფლიოს თანამედროვე სურათი და კრიტიკული ანალიზის საშუალებით მეძებნა გზები, მის გასაუმჯობესებლად, რისი სურვილიც მუდამ თან დამყვება.

თითქმის არასოდეს გამმართლებია ცხოვრებაში, იმის გარდა, რომ არაფრის მეშინია. ამიტომ როგორც იტყვიან ბრიტანელები „I dream big and work hard". მუდამ მჯერა, რომ ყველაფერი გამოვა, ეჭვები საერთოდ არ მიჩნდება. ამავე განწყობით მოვიპოვე საფრანეთისა და საქართველოს მთავრობის სტიპენდია. როდესაც გასაუბრებაზე დამიბარეს, ერთი წუთით არ დამიშვია, რომ ეს კონკურსი იყო. მეგონა სტიპენდია უკვე მოვიპოვე და მხოლოდ გასაცნობად დამირეკეს. საბედნიეროდ, ამ განწყობამ კვლავაც გაამართლა და ასე აღმოვჩნდი პარიზში, სორბონის უნივერსტეტში. ორი საოცარი წელი, რომელსაც რთულად თუ შევადარებ რამეს, იმდენად საინტერესო იყო. პირველ რიგში აკადემიური კუთხით, მეორე მხრივ ლინგვისტური. ვერ ვიტყოდი, რომ მარტივი იყო, მით უფრო, რომ ფრანგების რამით გაოცება ძალიან რთულია, თუმცა დიდი გამოცდილება მივიღე.

ძალიან სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ ყოველ თემაზე, რომელსაც იქ სწავლის პერიოდში შევეხეთ, უკვე მქონდა გარკვეული წარმოდგენა თსუ-ში მიღებული განათლების წყალობით. ამიტომ ადაპტაცია არ გამჭირვებია გარკვეული ენობრივი ბარიერის მიუხედავად. პირიქით, დიდი ფრანგი მეცნიერების შრომების გაცნობა ქართულის მერე ფრანგულ ენაზე, უზომოდ შთამბეჭდავი იყო ჩემთვის", – ამბობს ანი.

იგი ამჟამად, ასოციაციაში Innovation Jeunesse Découverte France პარიზში



*პარიზის მერი ანა იდალგო და ანი ბალასანია*

მუშაობს, როგორც ევროპულ საქმეთა ოფიცერი. ასოციაცია ევროკავშირის ახალგაზრდული პოლიტიკის აღსრულებას ემსახურება.

„ასოციაციაში ევროპულ სტრატეგიაზე მუშაობა სრულიად მაბარია მე, ამიტომ ძალიან დამოუკიდებელი ვარ მის შემუშავებაში და ბევრი მაქვს ქართული ინსპირაცია. ძირითადი მისია არის ის, რომ ფრანგ ახალგაზრდებს მივცეთ მოტივაცია, მეტი ინფორმაცია და შესაძლებლობები, გახდნენ უფრო აქტიურები.

თავად აქტიურად ვმუშაობ პროექტებზე ევროკომისიის „ერასმუს პლუს" პროგრამის ფარგლებში, ისევე როგორც ევროპის მოხალისეობრივ სერვისზე. ძალიან სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ზოგიერთი პროექტი სცდება სამოქალაქო სექტორს და ინაცვლებს პოლიტიკის დონეზე, ამ დროს მეტი შანსია, პოზიტიური ცვლილებები მოახდინო. მაგალითად, პარტნიორებთან ერთად ვიმუშავებთ „ერასმუს პლუს" პროგრამის დახვეწაზე მომდევნო წლებში და ახალი ბიუჯეტის დაგეგმვაზე. შემოდგომაზე ვხვდები საფრანგეთის პრეზიდენტს, შეხვედრაზე განხილული იქნება საფრანგეთის ახალგაზრდული პოლიტიკის შესაბამისობა ევროპულთან.

ევროსაბჭო რეგულარულად აწყობს შეხვედრებს მოცემული პოლიტიკის გაუმჯობესებისთვის. აპრილში საფრანგეთი წარვადგინე მონტენეგროში, სადაც სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გვიმასპინძლა და მონტენეგრო ოფიციალური წევრი გახდა ჩვენი პროგრამის.

ადგილობრივ აქტივობებს რაც შეეხება, ვთანამშრომლობთ სხვადასხვა ქალაქის მერიებთან. ბოლო სამ შაბათ-კვირას სხვადასხვა ქალაქებში ვატარებ. ქალაქების მერიებთან ერთად ვახდენთ ევროპის კვირეულის ორგანიზებას. სტრასბურგის მერიის მხარდაჭერით ჩატარდა ჩემი პირველი პროექტი, რომელიც ემსახურებოდა ახალგაზრდების ინფორმირებას ევროპის შესახებ, მოეწყო მსვლელობა ქალაქის ცენტრში სხვადასხვა ლოკაციებზე.

ყველაზე სასიამოვნო ამ დღეებში ევროსაბჭოში საქართველოს ელჩის მიერ მასპინძლობა იყო, რამაც თავი საქართველოში მაგრძნობინა, შევხვდი ძალიან საინტერესო და წარმატებულ ქართველ ახალგაზრდებს და კიდევ ერთხელ ავივსე მოტივაციითა და შთაგონებით.

ამ ვიზიტისას ასევე გავიცანი ბატონი კოლაკოღლუ, რომელიც მმართველი პარტიის წარმომადგენელია სტრასბურგში. ის დამიკავშირდა, რათა სექტემბერში ჩავატაროთ ევროპელ მოქალაქეთა შეხვედრა, დიალოგი და ახალი მოლოდინების მიმოცვლა ევროდეპუტატებთან.

ევროპის დღეები გავატარეთ ამიანში, პრეზიდენტის ქალაქში, რომელიც 2020 წლის ევროპის ახალგაზრდული დედაქალაქია და მერიასთან თანამშრომლობით, მონაწილეობას მივიღებ ამ წლის ახალგაზრდული პროგრამის გაწერაში.

ამასთან, ევროკომისიის მხარდაჭერით, ვმუშაობ პროექტებზე ახალგაზრდა ამომრჩეველთა ჩართულობის გასაზრდელად 2019 წლის ევროპარლამენტის არჩევნებში. კიდევ ერთი პროექტი, რომელიც ძალიან მინდა განვახორციელო, არის პარიზის ახალგაზრდული რუკა, რომელიც ჩაიდება პარიზის ტურიზმის ოფისის სტრატეგიაში", – ამბობს ანი.

კითხვაზე, თუ რა არის საჭირო წარმატების მისაღწევად, ანი ყველას ურჩევს,რომ ისწავლონ უცხო ენები, იმოგზაურონ ბევრი და იამაყონ ქართველობით. მისი თქმით, ნებისმიერი მცირე ძალისხმევაც კი პოზიტიურ შედეგს გამოიტანს.

„ყველას ვურჩევდი დაიჯერონ, რომ ყველაზე არარეალური ოცნებები ხდება, თან ძალიან მოულოდნელად; ყველა წუთი გამოიყენონ, რადგან ის აღარ მეორდება და სიცოცხლე უხაროდეთ, როგორი რთულადაც არ უნდა ჩანდეს იგი. ვურჩევდი ახალგაზრდებს, რომ საკუთარ თავს გვერდიდან შეხედონ და ისე შეაფასონ საკუთარი საქმიანობა, ასევე ნურავის იმედი ექნებათ საკუთარი ძალების გარდა და ნუ ჩათვლიან, რომ ვინმე მათ წინაშე ვალდებულია. ყველა ტკივილი გაკვეთილად უნდა აქციოთ, მუდამ ეძებოთ სიახლეები და არაფრის ეშინოდეთ, თუმცა უსმინონ სხვებს, რათა კრეატიული იდეები გაუჩნდეთ.

და ბოლოს, ვურჩევდი უყვარდეთ ადამიანები, რადგან ადამიანობა რჩება ყველაზე დიდ ღირსებად ყველა ქვეყანაში, ყველა ეპოქასა და ყველა რწმენაში", – ამბობს ანი.

# მასწავლებლები თსუ-დან



გელა პატაშური



გიორგი გრიგოლია



ალექსანდრე საათაშვილი

თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები გამოცდილებას სკოლის მოსწავლეებს უზიარებენ

***გიორგი გრიგოლია***, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია, ის ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლაში ასწავლის ფიზიკას, ასტრონომიასა და ასტროფიზიკის საწყისებს. გიორგი ამბობს, რომ მისი მიზანი მოსწავლეებისთვის აზროვნების და პრობლემებთან მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარებაა.

„სწავლასთან მასწავლებლობის შეთავსება იოლი არაა, თუმცა ნამდვილად შესაძლებელია. ძირითად სირთულეს წარმოადგენს დროის ნაკლებობა და, რა თქმა უნდა, ლექციების გათვალისწინებით განრიგის დაგეგმვა, თუმცა, საჭირო ძალისხმევით ეს სირთულეები დაძლევადია. პრიორიტეტს სწავლა წარმოადგენს და საჭიროების შემთხვევაში მზად ვარ დამატებითი სამუშაოს ნაწილზე უარი ვთქვა, თუმცა საბედნიეროდ, ჯერ ამის საჭიროება არ არსებობს. სწავლება ძალიან საჭირო გამოცდილებაა, რადგან მეხმარება დავხვეწო გადმოცემის უნარი. ჩემი მიზანია მაქსიმალურად დავეხმარო მოსწავლეებს სწორად განვითარდნენ და რაც მთავარია, აზროვნებას და პრობლემებთან მუშაობას შეეჩვიონ, ვცდილობ მკაცრად არ მოვექცე, რადგან პირადი გამოცდილებიდან ვიცი, რომ უფრო მეტს ისეთი ადამიანისგან სწავლობ, ვის მიმართაც დადებითად ხარ განწყობილი და ვისი მოსმენაც გსიამოვნებს.

კომაროვის სკოლაში საოლიმპიადო წრეზე ვასწავლი. ეს არის სპეციალური დამატებითი გაკვეთილები იმ მოსწავლეთათვის, რომელთაც სურთ გაიღრმავონ ცოდნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულებით და მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო ოლიმპიადებში. ჩემი მიმართულება არის ფიზიკა. კონკრეტულად, მეათე კლასის მოსწავლეებს ვასწავლი ექსპერიმენტული ფიზიკის საწყისებს, გარდა ამისა, უფროსკლასელებს ვასწავლი ასტრონომიისა და ასტროფიზიკის საფუძვლებს. ჩემი კვალიფიკაცია მთლიანად გამოცდილებას ემყარება, რა თქმა უნდა, ხუთი წლის განმავლობაში ვსწავლობდი ამავე სკოლაში. ამ პერიოდში მონაწილეობა მივიღე ყველა ძირითადად ეროვნულ და საერთაშორისო ოლიმპიადაში ფიზიკის მიმართულებით, ახლა კი ვცდილობ დაგროვილი გამოცდილების ახალი თაობისათვის გაზიარებას.

ბუნებრივია, ეს დიდი პასუხისმგებლობა და გამოწვევაა, რადგან ვმუშაობთ ისეთ ამოცანებზე, რომლებიც მნიშვნელოვნად მაღლა დგას სასკოლო დონის პროგრამაზე. ჩემთვის უდიდესი პატივია, რომ კომაროვის სკოლამ მომცა საშუალება სწავლების პროცესში ჩავრთულიყავი.

ახლახანს დავიწყე კომაროვის საშაბათო სკოლაში მუშაობა, სადაც მეოთხე კლასელებს ვასწავლი მათემატიკას. რა თქმა უნდა, პატარებთან მუშაობა რადიკალურად განსხვავებულია და არანაკლებ რთულიც, მით უმეტეს ჩემი ასაკის გათვალისწინებით. ბავშვებთან უთიერთობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს“, – ამბობს გიორგი გრიგოლია.

***გელა პატაშური***, გიორგი გრიგოლიას მსგავსად, მასწავლებლად მუშაობს. ის თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, პირველი კურსის სტუდენტია. თავის მოსწავლეებთან ერთად დიდ დროს ატარებს, სწავლებასთან ერთად ცდილობს მოსწავლეების განტვირთვას, რისთვისაც ერთად ფრენბურთს თამაშობენ და მუზეუმებში დადიან.

„კომაროვში და ვეკუაში ვარ საოლიმპიადო წრის მასწავლებელი. კომაროვში მე-12, მე-11 და მე-10 კლასელებს ვასწავლი ასტრონომიას, ვეკუაში კი მე-10 და მე-9 კლასელებს – ფიზიკას. ზოგადად, საოლიმპიადო მასალა გაცილებით რთულია სკოლის მასალაზე და ზომითაც მრავლისმომცველია. საქართველოში სკოლის დონის ფიზიკაში კარგი მასწავლებლის მონახვაა რთული და საოლიმპიადო ფიზიკაზე ლაპარაკი ზედმეტია. შესაბამისად, როდესაც კარგი სპეციალისტი გამოჩნდება ამ სფეროში, ფიზიკა-მათემატიკური სკოლები მაშინვე სთავაზობენ მას მუშაობას. ასე მოხდა ჩემ შემთხვევაშიც, ეს თავისთავადი იყო, მე არც მქონდა დაგეგმილი, შემომთავაზეს და მეც სიამოვნებით დავთანხმდი.

რთული არაფერია, როდესაც საქმეს სიყვარულით აკეთებ. ამის გარდა დიდ დროსაც არ მართმევს, რადგან კარგად მახსოვს ყველაფერი რაც ვისწავლე სკოლაში და წრის გაკვეთილისთვის იშვიათად, რომ წინასწარ მომზადება დამჭირდეს. წრის ჩატარება ჩემთვის ძალიან სასიამოვნო პროცესია, ისეთ წრეს ვატარებ, როგორზეც ვოცნებობდი, როცა მე თვითონ ვსწავლობდი სკოლაში. მაშინ გარკვეული საკითხები არ მომწონდა, არ მაკმაყოფილებდა და ახლა, როცა მე თვითონ ვარ წრის მასწავლებელი, სწავლების მეთოდებში ცვლილებები შევიტანე. მთელი მასალა დღეების მიხედვით განვალაგე და 20 წუთიანი თეორიული და ამოცანების წერების სისტემა შემოვიღე, რომელსაც ყოველი წრის დაწყებისას და დამთავრებისას ვაწერინებ და მოდუნების საშუალებას არ ვაძლევ. ზოგადად, თუ წრეზე არიან სუსტი და ძლიერი ბავშვები, მასწავლებელი ცდილობს დავალება და მასალა ისე შეარჩიოს რომ ორივე ფენამ შეძლოს დაძლევა, მაგრამ ჩემი აზრით, ამ დროს ძლიერები სუსტდებიან და წარმატების მიღწევაში ხელი ეშლებათ, ამიტომ ეს მიდგომა შევცვალე და მასალა და დავალება წრის ყველაზე ძლიერ მოსწავლეს მოვარგე, ზოგმა ამას ვერ გაუძლო და წრიდან წავიდა, მაგრამ სამაგიეროდ ძლიერები კიდევ უფრო გაძლიერდნენ და შედეგად ჩემი მოსწავლე საქართველოს რეიტინგში მესამე ადგილზე გავიდა და ნაკრების შესარჩევზე მოხვდა, ხოლო ფიზიკის გუნდურ ჩემპიონატზე, ჩემი მოსწავლეები უკრაინაში მესამე ადგილზე გავიდნენ.

წრის ბავშვების გაძლიერების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი ბავშვების ერთმანეთთან კარგი მეგობრობა და დიდი სიყვარულია. ამის გამო, წრის დაწყებიდან მალევე ბავშვები ბოულინგის სათამაშოდ წავიყვანე, შემდეგ კი მუზეუმშიც ვიყავით გამოფენაზე. ხშირად ფრენბურთს ვთამაშობთ ერთად და ზოგჯერ, რვა საათიან წრეს ვატარებ შუაში შესვენებით, რომლის დროსაც ვსეირნობთ, ვლაპარაკობთ თანამედროვე ფიზიკის და ფილოსოფიის საკითხებზე, შემდეგ კი ენერგიას აღვიდგენთ ხოლმე და ისევ ვუბრუნდებით ჩვენ საყვარელ საქმეს.

ამ პროცესმა ძალიან დაგვამეგობრა ერთმანეთთან, ისეთი ურთიერთობა მაქვს მათთან, როგორც ჩემს ტოლებთან. ასაკით თითქმის მათი ტოლი ვარ და ჩვეულებრივ შენობით მელაპარაკებიან. წრეზე არიან ბავშვები, რომლებიც ისე კარგად აზროვნებენ, რომ თანამედროვე ფიზიკის საკითხებზე ჩვეულებრივ ვმსჯელობ ხოლმე მათთან ერთად, ზოგჯერ მე ვსვამ კითხვას და ისინი მპასუხობენ. ასეთ მეგობრების ყოლაზე ყოველთვის ვოცნებობი და დღეს ბედნიერი ვარ, რომ ისინი აღმოვაჩინე. როცა ვხედავ, როგორ აინტერესებთ ფიზიკა ჩემი თავი მახსენდება, კარგად მესმის მათი და ყველაფერს ვაკეთებ, რომ თუ რამე ვისწავლე, წავიკითხე და მივხვდი ამ სამყაროში, მოვუყვე, გავუზიარო და დავეხმარო გაიკვლიონ გზა დიდი მომავლისთვის. ვიმედოვნებ, რომ ერთ დღეს, ისინი ჩემთან ერთად დადგებიან დიდი მეცნიერები“, – ამბობს გელა პატაშური.

გელა პატაშური და გიორგი გრიგოლია ფიზიკის საერთაშორისო ოლიმპიადების მედალოსნები არიან. მათი თანაკურსელი, ***ალექსანდრე საათაშვილი***, გასულ წელს მათემატიკის მსოფლიო ოლიმპიადის ოქროს მედალოსნებს შორის მე-5 ადგილის მფლობელი გახდა და თსუ რექტორის სტიპენდიაც მიენიჭა. ალექსანდრე, გელას და გიორგის მსგავსად, კომაროვის სკოლაში მათემატიკას ასწავლის და ახალ თაობებს საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის ამზადებს.

„კომაროვის სკოლაში ვატარებ მათემატიკის წრეს. ვასწავლი მე-10, მე-11 და მე-12 კლასელებს, ამ წრის მთავარი მიზანია ბავშვების მომზადება საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის. შემოთავაზება ჯერ კიდევ წინა წელს მივიღე და იქვე დავთანხმდი. ზოგადად, სკოლის დამთავრების შემდეგ ოლიმპიელები ხშირად უზიარებენ თავის გამოცდილებას შემდეგ თაობებს და პირველივე წლიდან ატარებენ წრეებს.

უნდა ითქვას,რომ სწავლასთან შეთავსება არც ისე რთულია, უბრალოდ ცოტა დროის პრობლემაა. საოლიმპიადო წრეზე ირჩევა რთული და ძალიან ლამაზი ამოცანები. ასე რომ, ამ წრის ჩატარება მასწავლებლისთვისაც საინტერესოა. ჩემი მოსწავლეები ჩემი მეგობრები არიან, თითქმის ყველას დიდი ხანია ვიცნობ. გასაკვირი არცაა, ჯერ კიდევ, შარშან ერთად დავდიოდით წრეზე. ჩემთვის ამ წრის ჩატარება არის ძალიან სასიამოვნო გამოცდილება“, – ამბობს ალექსანდრე.

## „ეიფელის ბრწყინვალების“ 2018 წლის სტიპენდიის ლაურეატი თსუ სტუდენტია

პირველი გვერდიდან

სწავლას ახალი სასწავლო წლიდან სტრასბურგის უნივერსიტეტში, სამართლის ფაკულტეტზე, კერძოდ, საერთაშორისო და ევროპული სამართლისა და ადამიანის უფლებების სამაგისტრო პროგრამაზე განვაგრძობ. განათლების ხარისხისა და, ზოგადად, ამ სფეროსადმი საფრანგეთში არსებული მიდგომების გათვალისწინებით, იმედი მაქვს, მაქსიმალურ ცოდნასა და გამოცდილებას მივიღებ.

აბიტურიენტებს, სტუდენტებს ვურჩევდი, არ შეწყვიტონ საკუთარი თავის ძიება პროფესიაში. აუცილებლად სცადონ ბედი საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად. ამ გზით, გარდა იმისა, რომ ხარისხიანი განათლება ხელმისაწვდომი ხდება ჩვენთვის, ამასთანავე უდიდეს ცხოვრებისეულ გამოცდილებასაც ვიღებთ, რასაც ვერაფერი ჩაანაცვლებს“, – ამბობს გვანცა.

### ABET აკრედიტაციის ექსპერტები თსუ-ს ეწვივნენ

თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ორი პროგრამა – ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია და კომპიუტერული მეცნიერებები საერთაშორისო – ABET აკრედიტაციის განაცხადს 2019 წელს ოფიციალურად შეიტანს. ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს ორგანიზებით, ამ პროგრამების მონიტორინგის მისიით თსუ-ს ეწვივნენ ABET აკრედიტაციის ექსპერტები – პროფესორები ჯო ტურნერი და ფრენკ ნოელი.

### სახელმძღვანელოს – „სტრატეგიული მენეჯმენტი – ცნებები და ვითარებები“ ქართულენოვანი თარგმანის პრეზენტაცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფრედ რ. დევიდისა და ფორესტ რ. დევიდის სახელმძღვანელოს – „სტრატეგიული მენეჯმენტი – ცნებები და ვითარებები“ ქართულენოვანი თარგმანის პრეზენტაცია გაიმართა.

წიგნი თსუ გამომცემლობის მიერ გამოიცა. თარგმანი დაფინანსდა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წიგნების თარგმნის პროგრამის ფარგლებში. პროექტი წარადგინა თსუ პროფესორმა, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა გიორგი ღაღანიძემ.

სახელმძღვანელოს ქართული გამოცემის სამეცნიერო რედაქტორია პროფესორი შალვა მაჭავარიანი. მთარგმნელობითი ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: თსუ-ის პროფესორი გიორგი ღაღანიძე, თსუ-ის ასოცირებული პროფესორი ბადრი რამიშვილი და სეუ-ის პროფესორი გელა გრიგოლაშვილი.

წიგნის ავტორები არიან მამა-შვილი ფრედ. რ და ფორესტ. რ. დევიდები. მათ გამოქვეყნებული აქვთ 50-ზე მეტი სამეცნიერო სტატია მსოფლიოს საუკეთესო გამოცემებში.

სახელმძღვანელო სტუდენტებს, მკვლევრებს, მენეჯერებს და დაინტერესებულ პირებს დაეხმარება შეისწავლონ და გაეცნონ ნებისმიერი ორგანიზაციის სტრატეგიის ჩამოყალიბების, განხორციელებისა და შეფასების თანამედროვე პრინციპებს და ტენდენციებს.

### ღონისძიება ექსპერიმენტულ ქიმიაში სკოლის მოსწავლეებისთვის



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ლექციათა ციკლის ფარგლებში თსუ-მ სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა. სკოლის მოსწავლეებისთვის სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უახლესი ქიმიური ხელსაწყოებით აღჭურვილ ლაბორატორიაში გამართეს ღონისძიება ექსპერიმენტულ ქიმიაში. ქიმიის დოქტორმა თინა ბუკიამ წაიკითხა საჯარო ლექცია „ქიმიის ზოგადი მიმოხილვა. მისი მნიშვნელობისა და პრაქტიკული აპლიკაციების ჩვენება“, ხოლო სტუდენტებმა გუჯა გოჯიაშვილმა და გივი კალანდიამ სკოლის მოსწავლეებს ჩაუტარეს სახალისო ქიმიურ ექსპერიმენტები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ლექციათა ციკლი 26 მაისამდე გაგრძელდება და ის მოიცავს საქართველოს დამოუკიდებლობის ასწლოვან ისტორიასა და უნივერსიტეტის მნიშვნელობას ქვეყნის განვითარების პროცესში.

### საჯარო ლექცია – „ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტისა და საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ორგანიზებით თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტში გაიმართა მისიის ხელმძღვანელის მოადგილის ქეით ფიერონის საჯარო ლექცია.

ღონისძიება გაიხსნა თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორის ნინო ლაპიაშვილის მოხსენებით, რომელიც გაგრძელდა მისიის ხელმძღვანელის მოადგილის საჯარო ლექციით თემაზე – „ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში.“

ღონისძიების მეორე ნაწილი დაეთმო INOTLES ტემპუსის პროექტის ფარგლებში გამოცემული პუბლიკაციებისა და თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ორენოვანი ქართული ჟურნალის ახალი ნომრის პრეზენტაციას, რის შემდეგაც ქეით ფიერონმა სერტიფიკატებით დააჯილდოვა თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის მაგისტრატურის მე-9 ნაკადის კურსდამთავრებულები.

ღონისძიება მიეძღვნა თსუ-ის 100 წლის იუბილესა და ევროპის დღეებს.

### სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ორგანოთა კონსერვაციის მეთოდები: დინამიკური და ჰისტომორფოლოგიური კვლევების ასპექტები“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორფოლოგიის ინსტიტუტში სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ორგანოთა კონსერვაციის მეთოდები: დინამიკური და ჰისტომორფოლოგიური კვლევების ასპექტები“ გაიმართა.

კონფერენციის ფარგლებში გაიხსნა მედიცინის სფეროს ცნობილი წარმომადგენლების აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილისა და პროფესორ უჩა გაბუნიას ბიუსტები. ხოლო წარმატებული პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისთვის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორები მერაბ კილაძე, გია ლობჟანიძე და ვლადიმერ მარგველაშვილი თსუ რექტორმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო მედლით დააჯილდოვა

### წიგნის „მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა“ პრეზენტაცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასოცირებული პროფესორის თამარ პაიჭაძის წიგნის „მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა“ პრეზენტაცია გაიმართა. ნაშრომის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს: სტუდენტები, ლიტერატურის მკვლევრები და ზოგადად, მეოცე საუკუნის ლიტერატურული პროცესებით დაინტერესებული პირები.

მე-4 გვერდზე

*მესამე გვერდიდან*

### ათონელ ბერებთან შეხვედრა



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ვატოპედის წმინდა და დიდი სავანის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ეფრემი და ათონელი მამები ეწვივნენ. ღონისძიების მთავარი თემა თეოლოგია, ღვთისმეტყველება, „ათონის მთა და ქართველობა“ იყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ათონის მთაზე ოფიციალური მიწვევა მიიღო.

### სამართლისა და ეკონომიკის ცენტრის გახსნა

თსუ იურიდიული ფაკულტეტისა და თბილისის ღია უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, თბილისის ღია უნივერსიტეტში სამართლის და ეკონომიკის ცენტრი გაიხსნა. ცენტრი მიზნად ისახავს სამართლისა და ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით მიმდინარე საკანონმდებლო, სამეცნიერო და პრაქტიკული პროცესების შესწავლას, პრობლემებსა და გამოწვევებზე ეფექტიან რეაგირებას, საზოგადოების ინფორმირებასა და კვლევის შედეგების ადრესატებისათვის გაცნობას.

### სტუდენტური კონკურსის „მისია 2018“ ფინალური დავალება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური კონკურსის – „მისია 2018“ ფინალისტებმა მეორე ტურის დავალება მიიღეს. 5 ფინალისტი გუნდის წარმომადგენლები კონკურსის წლევანდელ პარტნიორის „ას ჯორჯიას“ საცხოვრებელ კომპლექსს „დირსს“ ეწვივნენ, ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს და კომპლექსის მაკეტს გაეცნენ. შეხვედრაზე კომპანიის წარმომადგენლებმა კონკურსანტებს ფინალური დავალება მისცეს, რომელსაც ისინი ერთი თვის განმავლობაში სპეციალურად „დირსისთვის“ შეასრულებენ.

### თავდაცვის მინისტრის შეხვედრა თსუ სტუდენტებთან



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ თემაზე „საქართველო თავდაცვისა და უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევების პირისპირ“ ლექცია წაიკითხა. ღონისძიებას თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, სტუდენტები, მოწვეული სტუმრები დაესწრნენ. შეხვედრაზე ლევან იზორიამ საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის შესახებ ისაუბრა, რომელიც ტერიტორიულ თავდაცვაზე იქნება ორიენტირებული. მინისტრმა ასევე დაანონსა რეზერვის ახალი, ანაზღაურებადი სისტემის დანერგვა

### „თსუ დესპანის“ მონაწილეების დაჯილდოება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ თსუ საბავშვო უნივერსიტეტის პროექტის „თსუ დესპანის“ მონაწილეებს სერტიფიკატები გადასცა. 58-მა სტუდენტმა-დესპანმა თბილისისა და საქართველოს 26 მუნიციპალიტეტის სკოლებში გამართა პრეზენტაციები, შეხვედრები, სკოლის მოსწავლეებს მიაწოდა ინფორმაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ. თსუ რექტორმა სტუდენტებს მადლობა გადაუხადა სკოლის მოსწავლეებში თსუ-ს პოპულარიზაციისთვის.

### თსუ 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო მინი-სიმპოზიუმი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ქიმიური საზოგადოების ინიციატივით (GCS) თსუ 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო მინი-სიმპოზიუმი გაიმართა. ღონისძიებაზე ათასწლეულის გამოწვევის ფონდს, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტსა და განათლების საერთაშორისო ცენტრს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროცესში საერთაშორისო თანამშრომლობის დანერგვას, განმტკიცებას და განვითარებას.



### ღია კარის დღე თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ღია კარის დღე გაიმართა. სკოლის მოსწავლეებს და აბიტურიენტებს თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე და თსუ კურსდამთავრებული, მწერალი გიორგი კეკელიძე შეხვდნენ. თსუ ფაკულტეტების წარმომადგენლებმა, პროფესორებმა და თანამშრომლებმა მოსწავლეების კითხვებს უპასუხეს.



### მსოფლიო მარათონი – Wings for Life World Run 2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ყველაზე მასშტაბურ საქველმოქმედო სპორტულ ღონისძიებაში – Wings for Life World Run მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიება აერთიანებს 6 კონტინენტს, ერთსა და იმავე დროს, ერთი მიზნით – „გავხადოთ ზურგის ტვინის დაზიანება განკურნებადი!“

### თბილისის საგუნდო მუსიკის VIII საერთაშორისო ფესტივალი თსუ-ში

თსუ-ში თბილისის საგუნდო მუსიკის VIII საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა. კონცერტში მონაწილეობდნენ: თბილისის ბავშვთა გუნდი, ევგენი მიქელაძის სახელობის თბილისის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო განყოფილების უფროსკლასელთა გუნდი, თბილისის მსახიობ ქალთა და ქალთა საერთაშორისო ასოციაციის გაერთიანებული გუნდი, ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის შერეული გუნდი, ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის ბავშვთა გუნდი, ვაჟთა გუნდი „მძლევარი“, გორის სამუსიკო კოლეჯის მოსწავლეთა გუნდი, სოპოტის კამერული გუნდი „Continuo“.

## თსუ კაპელა – ახალგაზრდა ენთუზიასტთა ისტორია

*პირველი გვერდიდან*

გუნდის რეპერტუარი საკმაოდ მრავალფეროვანია, ქართული სიმღერების გარდა, ევროპული, აფრიკული სიმღერები და გოსპელები (საგალობლები). როგორც ლაშა მიროტაძე ამბობს, მათი მთავარი ამოცანა ისაა, რომ ყველანაირი სირთულის სიმღერის შესრულება შესძლონ. საამისოდ ისინი უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სხვენში გადიან რეპეტიციებს. გასულ წელს გუნდი გასტროლებზე აზერბაიჯანში იყო, სადაც საკმაოდ პრესტიჟულ ყოველწლიურ მუსიკალურ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა და მოწონებაც დაიმსახურა. თავიდან კაპელამ, როგორც აღვნიშნეთ, გოგონათა გუნდის სახით დაიწყო არსებობა. მოგვიანებით მათ ვაჟები დაემატნენ. ლაშას განმარტებით, საამისოდ ძალიან უბრალო მიზეზი არსებობს.



„მხოლოდ ქალთა ხმები, ყველა თავისი ღირსების მიუხედავად, იმას ნიშნავს, რომ მხატვარი 5 ძირითადი ფერით შემოიფარგლოს, შერეული გუნდი კი იგივეა, რომ მხატვარმა ნახატის შესრულებისას, დაახლოებით 30 ტონალობა გამოიყენოს. როგორც ქალის ხმა ვერ ჩაანაცვლებს ბანს, ისე კაცის ხმა ქალისას“. უახლოეს პერიოდში გუნდი თსუ-ში სოლო კონცერტის გამართვას გეგმავს და მუსიკის მოყვარულებს სიამოვნებით ეპატიჟება.

## „უნივერსიტეტის თეატრი – 100“

*პირველი გვერდიდან*

„კულტურული ღონისძიება“ მე-20 საუკუნეში გამოჩენილი მსახიობის ვიქტორ გამყრელიძის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე იყო. უნივერსიტეტი ასევე გამოეხმაურა მსახიობ ნინო ჩხეიძის 25 წლის იუბილეს. 1919 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა ქართული მუსიკის კათედრა, ლექტორად კი იმ დროს უკვე ძალიან ცნობილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნის ავტორი კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი მიიწვიეს. თსუ დასის სპექტაკლებს მუსიკალურად, სწორედ, კოტე ფოცხვერაშვილი აფორმებდა.

სხვა ექსპონატებთან ერთად, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო კოტე ფოცხვერაშვილის პირადი ნივთები და მასალები საოჯახო არქივიდან. მათ შორის: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნის „დიდების“ პირველი გამოცემა, 1918 წელს ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით გამართული კონცერტებისა და საღამოების პროგრამები, მისი პირადი საკუთრება – სახარება „დავითნი“, დაირა. გამოფენის გახსნას დაესწრო კოტე ფოცხვერაშვილის შვილიშვილი ცირა ბერიძე. მისი თქმით, უნივერსიტეტის თეატრალურ დასში თამაშობდნენ დედამისი – ნათელა ფოცხვერაშვილი, ასევე ბიძა ზაქარია ჩლაიძე და პეტრე გრუზინსკი.



ამჟამად, თსუ-ში მოქმედებს სტუდენტური თეატრი „სხვენი“, რომელიც მთლიანად თსუ სტუდენტებითაა დაკომპლექტებული. სტუდენტური თეატრი სპექტაკლებს მართავს, როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე მონაწილეობს საერთაშორისო ფესტივალებში.

სტუდენტური თეატრის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის თსუ რექტორმა უნივერსიტეტის მედლით დააჯილდოვა სტუდენტური თეატრის „სხვენის“ რეჟისორი გიორგი გომურაშვილი და სტუდენტური თეატრის რეჟისორი 80-იან წლებში – დალი კალატოზიშვილი.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი საგამოფენო მასალა დაცულია თსუ ბიბლიოთეკაში, მუზეუმში, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტში.

გამოფენა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს ეძღვნებოდა და 19 მაისამდე გაგრძელდა.

## იტალიელი სტუდენტები თსუ მედიცინის ფაკულტეტიდან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე „ერაზმუს+“ პროგრამის ფარგლებში ამ დროისათვის გაცვლითი პროგრამით ორი იტალიელი სტუდენტი სწავლობს.

ალეგრა დალეილო 21 წლისაა და სალერნოში მესამე წელია რაც მედიცინას ეუფლება. თსუ-ში უკვე მეორე სემესტრია სწავლობს. ამ სემესტრის დასრულების შემდეგ სასწავლებლად ისევ იტალიაში გაბრუნებას გეგმავს.

როგორც ამბობს, გადაწყვიტა იტალია დაეტოვებინა, ერთგვარი ექსპერიმენტი ჩაეტარებინა და სასწავლებლად უცხო ქვეყანაში ჩამოსულიყო. საქართველოში ჩამოსვლის შესაძლებლობით სწრაფად დაინტერესდა, რადგან ამ ქვეყნის შესახებ მანამდე არაფერი გაეგო, მაშინ როდესაც ესპანური, ფრანგული, ინგლისური და ბერძნული კულტურა მისთვის ძალზე ნაცნობი იყო.

„თბილისში ვესწრები ლექციებს დერმატოლოგიის, ალერგოლოგიის, ალერგოლოგია-კლინიკური იმუნოლოგიის, ჰისტოლოგიის კლინიკური ნაწილისა და ანატომიის შესახებ. ეს ლექციები იტალიურ კურსებს შეესაბამება“, – განმარტავს იგი. საქართველოში მარტის დასაწყისში ჩამოვიდა. აქ ჩამოსვლამდე თავისი გადაწყვეტილების გამო ცოტას დარდობდა, მაგრამ ახლა ძალიან ბედნიერია.

„გამოცდები საქართველოში იტალურთან შედარებით განსხვავებულად არის ორგანიზებული. იქ გამოცდები ძალიან მასშტაბურად ტარდება და ერთი გამოცდისათვის ოთხი თვის, ამ მეტი ხნის განმავლობაში ვემზადებით, თუმცა, მათი სიხშირე უფრო ნაკლებია იმაზე, რაც საქართველოშია. საბოლოო ჯამში ერთი და იგივე პროგრამით ვსწავლობთ. იტალიაში ჩვენი ჯგუფებიც უზარმაზარია. 150-ზე მეტი სტუდენტი ჯგუფში და მხოლოდ ერთი ლექტორი გვყავს. ამდენად გამოცდებამდე მან ჩვენი სახელიც იცის და არც დიდი ურთიერთობა გვაქვს. აქ, საქართველოში ჩემთვის ცოტა გასაკვირი იყო რამდენიმე კურსელის ყოლა, და ასევე



ლექტორებთან პირადი ნაცნობობა. ვფიქრობ, იტალიაში უფრო დამოუკიდებლები ვართ. აქ კი სტრესის გარეშე შეგიძლია ისწავლო, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მოგწონს. ყველა ძალზე მეგობრულია და ვფიქრობ ქართველების ქცევა ჩვენსას მიაგავს, განსაკუთრებით იმით, რომ სტუმრების მიღება ერთნაირად გვიყვარს. ახლა ძალიან ბევრი მეგობარი მყავს საქართველოდან და იმედი მაქვს ისინი მალე ჩამოვლენ იტალიაში. თუმცა, ჩემი უდიდესი სიყვარული ჩემი კურსელები არიან: ერაყიდან, ირანიდან. ყველა სხვაზე კულტურაზე მეტად მათი კულტურა მიყვარს. იმედი მაქვს თავის ქვეყნებში მალე დაბრუნდებიან, აქ ძალიან ბევრი რამე ვისწავლე ლექტორების წყალობით და ყველაფერი ნათელი, გასაგებია.

ჩემი ყოველდღიური ზეპირი ტესტები დავალების შესამოწმებლად ინგლისურის დონის ამაღლებაშიც დამეხმარა. ვფიქრობ, შესაძლებელია კლინიკური პრაქტიკის კუთხით პროგრამისათვის უფრო მეტად დროის დათმობა. თუმცა, ამავე დროს ვიცი, რომ ეს მარტივი არაა და იტალიაშიც პრობლემას წარმოადგენს. საქართველოში ყოფნისას არაჩვეულებრივი გამოცდილება მივიღე, აუცილებლად და ხშირად დავბრუნდები“, – ამბობს ალეგრა.

24 წლის ვიტორიო ფალკონემ საქართველოში ჩამოსვლა იმიტომ გადაწყვიტა, რომ ახალი ადგილების



აღმოჩენა უყვარს. საქართველო სხვა ქვეყნებს შორის იმიტომ აირჩია, რომ მისი აზრით ეს ქვეყანა მუდმივად უმჯობესდება თანამედროვეობისა და ტექნოლოგიების კუთხით.

„მარტის დასაწყისში ჩამოვედი და ივლისის დასაწყიში მივდივარ. მართლა მომწონს თსუ ძირითადად ობიექტურობის და მედიცინისადმი პრაქტიკული მიდგომის გამო. უფრო მეტიც, პროფესორები ძალიან კომპეტენტურები არიან თავის საერათაშორისო გამოცდილების გამო. საქართველოში მანამდე არასდროს ვყოფილვარ. ვსწავლობდი ინგლისში, ირლანდიაში, სადაც ქართველ სტუდენტებს შევხვდი, რომელებიც შემდეგ ჩემი მეგობრები გახდნენ.

აქ ჩამოსვლამდე თსუ-ს შესახებ არაფერი მსმენოდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი აქაური გამოცდილება ჩემი მომავალი კარიერისთვის მრავალ შესაძლებლობას გამიჩენს იტალიაში, როგორც ექიმს. ამას გარდა, ეს გაცვლითი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც აქ ვარ, არა მხოლოდ გააუმჯობესებს ჩემს კურიკულუმს სამომავლოდ, არამედ უკვე მომცა საშუალება შემეძინა ახალი მეგობრები როგორც საქართველოდან, ისე სხვა ქვეყნებიდან“, – ამბობს ვიტორიო.

იტალიელი სტუდენტების გარდა, დღეისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამებზე სულ 290 სტუდენტი სწავლობს ირანიდან, ერაყიდან და ინდოეთიდან.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge